ქალები და პოლიტიკური წარმომადგენლობა

გზამკვლევი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებისთვის საქართველოში

ადამიანის უფლებების სწავლებისა
და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education
and Monitoring Center

2014

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center

ქალები და პოლიტიკური წარმომადგენლობა

გზამკვლევი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებისთვის საქართველოში

თბილისი, 2014

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

EMC
Human Rights Education and Monitoring Center

პროექტი „ქალი კანიდადტებისა და არჩეული თანამდებობის პირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის“ ხორციელდება შვეიცარიის კონფედერაციის ფინანსური და ევროპის საბჭოს ტექნიკური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვეიცარიის კონფედერაციის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტისა თუ ევროპის საბჭოს პოზიციას. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC).

კვლევის ხელმძღვანელები: ლინა ღვინიანიძე და ვახუშტი მენაბდე
ავტორი: სარა დელისი
მთარგმნელი: დათო ლაღიძე
რედაქტორი: ლაშა ქავთარაძე
დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე
სტამბა: ფაუნტაინი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
მისამართი: შანიძისქუჩა #3, 0179, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 223 15 58
ელ.ფოსტა: humanrightsemc@gmail.com
www.emc.org.ge
Facebook: www.facebook.com/RIGHTSEMC
ტირაჟი: 500
ISBN 978-9941-0-6976-5

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, EMC-ის წერილობითი ნებართვის გარეშე.

შინაარსი

შესავალი 5

1. თეორიული ჩარჩო 6
   1.1 გენდერული უთანასწორობის განვითარების თეორია 6
   1.2 არგუმენტი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის 8
   1.3 ბარიერები ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაში 8
      სტრუქტურული ბარიერები 9
      ინსტიტუციური ბარიერები 9
      კულტურული ბარიერები 10
   1.4 ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გავლენა 11
   1.5 დასკვნა 12

2. საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები 13
   2.1 სავალდებულო შეთანხმებები 13
   2.2 საერთაშორისო რეკომენდაციები 15

3. წარმატებული მაგალითები 16
   3.1 ქალთა წარმომადგენლობა ეროვნულ პოლიტიკაში 17
   3.2 ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ პოლიტიკაში 18
   3.3 საჯარო სამსახურში არჩეული ქალები 19
      კანონმდებლობა 19
      შიდა პარტიული მენეჯმენტი 20
      საარჩევნო კვოტები 21
      გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტირება 22
      ახალგაზრდული პროგრამები 23
   3.4 ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის წახალისება 23
      ქალების ეფექტური მონაწილეობა 24
      ქალთა საპარლამენტო ცხოვრება 24

4. დასკვნა 25

სასარგებლო ინფორმაცია 26

შესავალი

“ქალები კაცობრიობის პოტენციური შესაძლებლობებისა და უნარების ნახევარს ფლობენ და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი დაბალი ჩართულობა მთელი საზოგადოების დანაკარგია,” - ევროპის პირველი სამიტი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობასთან დაკავშირებით (ათენი, 1992)

დემოკრატია ნებისმიერი ადამიანის სათქმელის გაგებას გულისხმობს. მსოფლიო მოსახლეობის 50%-ს ქალები შეადგენენ. მიუხედავად ამისა, ისინი არ მონაწილეობენ სხვადასხვა დონეზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვინაიდან მათ არ აქვთ საკმარისი წვდომა ძალაუფლებასთან და პოლიტიკურ რესურსებთან.

პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა განსაკუთრებით მცირე რაოდენობის ჩართულობა თანაბრადაა დამახასიათებელი როგორც უკვე გამოცდილ, ასევე ახალი დემოკრატიებისათვის. საყოველთაო საარჩვენო უფლებამ ვერ უზრუნველყო ქალთა წარმომადგენლობის მაღალი დონე.

თუმცა გამოწვევა მხოლოდ პარლამენტში ქალთა რაოდენობის გაზრდა არაა. ის ეხება უკვე არსებულ ცრურწმენასაც, რომლის მიხედვითაც, საჯარო სივრცე მხოლოდ კაცების მოქმედების არეალია.

საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა დაბალია და საერთაშორისო ნორმებთან და გენდერული თანასწორობის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსასვლელად გაუმჯობესებას საჭიროებს. 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოხატა წუხილი პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა რაოდენობის შემცირების და ამ მხრივ პროგრესის ნიშნების არარსებობის გამო[1].

არჩევნების შემდეგ, ქალთა წარმომადგენლობის წილი ადგილობრივ თვითმმართველობის დონეზე 11.1% შეადგენს. „რთულია ისაუბრო თანასწორობაზე, როდესაც ქვეყანის მოსახლეობის 53% ქალია, ხოლო მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში 20 პროცენტსაც ვერ აღწევს,“ - აღნიშნული იყო სახალხო დამცველის განცხადებაში[2].

წინამდებარე გზამკვლევი მომზადდა პროექტის ფარგლებში „ქალი პოლიტიკოსების მხარდაჭერა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე,“ რომელიც განახორციელა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ (EMC) შვეიცარიის კონფედერაციის ფინანსური მხარდაჭერითა და ევროსაბჭოს ტექნიკური დახმარებით. პროექტის პირველ ეტაპზე, EMC-იმ დამოუკიდებელი და პარტიების (7 პარტია) მიერ დასახელებული 34 ქალი კანდიდატისთვის ჩაატარა ორი ტრენინგი. მათგან 15 აირჩიეს დეპუტატად ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოებში. ტრენინგის ფარგლებში შემუშავდა და გამოიცა «გზამკვლევი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ქალი კანდიდატებისთვის“.

1 Public Defender of Georgia, Statement on the Political Participation of Women, 23/07/2014. Accessed 15/08/2014 at http://ombudsman.ge/en/page/gancxadeba-qalta-politikuri-monawileobis-shesaxeb.

2 Public Defender of Georgia, Statement on the Political Participation of Women, 23/07/2014. Accessed 15/08/2014 at http://ombudsman.ge/en/page/gancxadeba-qalta-politikuri-monawileobis-shesaxeb.

არჩევნების შემდეგ, EMC-იმ იმუშავა არჩეულ ქალ კანდიდატებთან, რათა მათ მოეხდინათ გენდერულად სენსიტიური სოციალური საკითხების წინ წამოწევა საკუთარ თვითმმართველ ერთეულებში.

მეორე გზამკვლევი უფრო დამხმარე საშუალებაა, ვიდრე მზა რეცეპტი, რომელიც ადგილობრივ დონეზე პოლიტიკურ ჩართულობასთან დაკავშირებით პრობლემის გადაწყვეტის ცალსახა გზებს შესთავაზებს ქალებს. იგი იძლევა ინფორმაციას იმ მეთოდებზე, რომელიც გამოიყენებოდა ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად პოლიტიკურ სივრცეში. ფოკუსირებულია იმაზე, თუ რა სჭირდებათ ქალებს და რის გაკეთება შეუძლიათ თავიანთი თავისთვის. იგი განკუთვნილია განსაკუთრებით მათთვის, ვისაც შეუძლია იმოქმედოს პრობლემის წინააღმდეგ და მოახდინოს ცვლილება.

გზამკვლევის პირველი ნაწილი განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანასწორი მონაწილეობისათვის აუცილებელ თეორიულ ჩარჩოს. მეორე ნაწილი კი, მიმოიხილავს რელევანტურ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს ქალთა მონაწილეობის მხრივ. გზამკვლევის მესამე, მთავარი ნაწილი მიმოიხილავს პრაქტიკას, რომელიც რელევანტურია ქართულ კონტექსტში. თავის მხრივ, იგი იყოფა ორ ნაწილად, საჯარო სამსახურში ქალების არჩევისათვის საჭირო ზომები და ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა პოლიტიკაში.

1. თეორიული ჩარჩო

1.1 გენდერული უთანასწორობის განვითარების თეორია

განვითარების თეორია იწყება ჰიპოთეზით, რომ ტრადიციული საზოგადოება ხასიათდება მკვეთრად დიფერენცირებული გენდერული როლებით, რაც ქალს სახლის გარეთ მუშაობაში ხელს უშლის. სხვადასხვა დემოგრაფიული, სოციოლოგიური, ანთროპოლოგიური და სოციალური ფსიქოლოგიის სწავლება ცხადყოფს, რომ საზოგადოების მოდერნიზაციასთან ერთად იცვლება გენდერული როლები.[3]

პრეინდუსტრიულ ეპოქაში მნიშვნელოვანი იყო ქალის ვალდებულება გაეჩინა და აღეზარდა შვილები. დიასახლისობასთან ერთად, ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია მათ ცხოვრებაში. ანაზღაურებადი მუშახელი ძირითადად კაცებით იყო დაკომპლექტებული, თუმცა ვითარება რადიკალურად შეიცვალა პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოებებში. ეს კი განაპირობა სტრუქტურულმა რევოლუციამ ანაზღაურებად მუშახელში, ქალებისათვის განათლების მიღების შესაძლებლობასა და თანამედროვე ოჯახების მახასიათებლებში.[4] დაქორწინებული ქალების რაოდენობის ზრდამ შრომის ბაზარზე გამოიწვია ის, რომ ოჯახის რჩენა მხოლოდ კაცების კომპეტენციიდან გავიდა და შესაბამისად, ოჯახი ორმაგად შემოსავლიანი გახდა.[5]

3 United Nations (2010). The World's Women 2010: Trends and Statistics. New York. Accessed 15/08/2014 at: http://unstats.un.org/unsd/demographic/products/Worldswomen/WW_full%20report_color.pdf

4 Bonvillain, N. (1995). Women and Men: Cultural Constructs of Gender (4th ed). Pearson Prentice Hall, Upper Saddle River, N.J.

5 Mason, K. and Jenson, A.M. (1995). Gender and Family Change in Industrialized Countries. Oxford: Clarendon Press



საქართველოში გამოკითხულთა 88%-ს სჯერა, რომ ოჯახის მარჩენალი კაცი უნდა იყოს, ხოლო ქალი პასუხისმგებელია საოჯახო საქმეებზე (წყარო: UNDP 2013).[6]

მიუხედავად ამისა, ქალებს კვლავაც უხდებათ თავი გაართვან როგორც პროფესიულ, ისე საოჯახო მოვალეობებს. ისინი მუშაობენ ნაკლებად პრესტიჟულ პოზიციებზე და გამოიმუშავებენ კაცებზე ნაკლებს. ეს კი ცხადყოფს, რომ ტრადიციული ღირებულებები ჯერ კიდევ შემორჩენილია საზოგადოებაში, იმისდა მიუხედავად, რომ მათ მიმართ უფრო და უფრო ხშირად დაისმის კითხვები.

ინგლეჰარტი და ნორისი (2003) ამტკიცებენ, რომ დაკვირვება მიგვიყვანს ოთხ მთავარ მიგნებამდე. თავიანთ კვლევაში, მათ აღმოაჩინეს სისტემური განსხვავებები გენდერული თანასწორობის კუთხით სხვადასხვა კულტურაში: ა) საზოგადოებებს შორის, ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით; ბ) საზოგადოებებში თაობების მიხედვით; გ) ქალებსა და კაცებს შორის; დ) საზოგადოებებში ისეთი სტრუქტურული და კულტურული ფაქტორების მიხედვით, როგორიცაა განათლება.

ქალი პარლამენტარების მონაწილეობა და მთლიანი შიდა პროდუქტი

გენდერული თანასწორობა ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორია. გაეროს მოსახლეობის ფონდს სჯერა, რომ ეკონომიკური ზრდა და სოციალური თანასწორობის დამკვიდრება ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ამტკიცებს, რომ გენდერული უთანასწორობა აფერხებს ინდივიდუალურ თუ ქვეყნის განვითარებას, საზოგადოების ევოლუციას და ხელს უწყობს ქალებისა და კაცებისათვის არასახარბიელო გარემოს ჩამოყალიბებას.



ინგლეარტი და ნორისი აღნიშნავენ, რომ დამოკიდებულება ქალი ლიდერების მიმართ გაცილებით უფრო თანასწორია პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებებში, ვიდრე განვითარებად ან პოსტ-კომუნისტურ სამყაროში, და ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს, როდესაც მათ ამა თუ იმ თანამდებობაზე ირჩევენ. მეტიც, მათივე თქმით, მართალია კულტურული ცვლილების გარეშე ინსტიტუციური მექანიზმი არაეფექტურია, მაგრამ მხოლოდ კულტურული ცვლილებაც ვერ გადაჭრის გენდერულ უთანასწორობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გარემო გაცილებით უფრო ხელსაყრელია პოლიტიკის შესაბამისი რეფორმისათვის. დაბოლოს, ისინი ამტკიცებენ, რომ დამოკიდებულებების შეცვლა დროში საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მოდერნიზაციის პროცესთან.

6 Inglehart, R. and Norris, P. (2003) Rising Tide: Gender Equality and Cultural Change around the World, Cambridze University Press.

ავტორების თქმით, მიუხედავად განვითარებისა, გენდერული თანასწორობის მიმართ საზოგადოებების დამოკიდებულება განსხვავდება იმ საზოგადოებებშიც კი, რომლებიც განვითარების ერთ დონეზე არიან. იგი იცვლება ისეთი ფაქტორების მიხედვით როგორიცაა, რელიგიური ტრადიციები, სახელმწიფოს მოწყობის ტიპი და დემოკრატიზაციის დონე.

1.2 არგუმენტი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის

დღესდღეობით, ქალთა პოლიტიკური რეპრეზენტაციის მნიშვნელობაზე მსჯელობისას, შეგვიძლია ოთხ მთავარ არგუმენტს დავეყრდნოთ. **სამართლიანობის არგუმენტით,** ქალები შეადგენენ მოსახლეობის ნახევარს, ამიტომაც მათ აქვთ უფლება, შესაბამისად ფლობდნენ თანამდებობების ნახევარს. **გამოცდილებით გამყარებული არგუმენტი** ამბობს, რომ ქალებს აქვთ განსხვავებული გამოცდილებები, ბიოლოგიური თუ სოციალურად კონსტრუირებული, რომელის რეპრეზენტაციაც მნიშვნელოვანია. **ინტერესით გამყარებული არგუმენტის** მიხედვით, ქალებს და კაცებს ურთიერთსაპირისპირო ინტერესები აქვთ, და შესაბამისად, ამ ინტერებს მხოლოდ კაცები არ უნდა წარმოადგენდნენ. **სიმბოლური არგუმენტის** მიხედვით, ქალი პოლიტიკოსის აქტივობა ერთგვარი მისაბაძი მაგალითია და იზიდავს ქალებს პოლიტიკაში ჩართულობისაკენ, იმისდა მიუხედავად თუ რომელ პარტიას ან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს იგი. **კრიტიკული მასის არგუმენტის** მიხედვით, ქალებს სოლიდარობის განცდა უჩნდებათ და სურთ იყვნენ სხვა ქალების წარმომადგენლები მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეპრეზენტაციის გარკვეულ დონეს მიაღწევენ. **დემოკრატიული არგუმენტის** მიხედვით კი, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი წარმომადგენლობა ზრდის მმართველობის დემოკრატიზაციის დონეს როგორც გარდამავალ, ისე კონსოლიდირებულ დემოკრატიებში.[7]

გარდა ამისა, ცნობილია, რომ 12-დან 9 ქვეყანა, სადაც საპარლამენტო მანდატების 33 %-ზე მეტს ქალები ფლობენ, განვითარების მაღალი დონით ხასიათდებიან (გოგონებს უფრო მეტად სურთ რომ წვდომა ჰქონდეთ განათლებაზე, დაბალია გაუნათლებლობა და ა.შ).[8]

1.3 ბარიერები ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაში

დღეს არსებულ სიტუაციას, როდესაც ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში საკმაოდ მცირეა, არაერთი ფაქტორი განაპირობებს. ქალთა ჩართულობა, მონაწილეობა და წვდომა ფორმალურ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე უკავშირდება უამრავ სხვადასხვა სტრუქტურულ და ფუნქციურ ბარიერს, რომელიც ქვეყნების მიხედვით იცვლება. არაერთი ავტორის აზრით, ქალთა არყოფნა პოლიტიკურ არენაზე გამოწვეულია დაბრკოლებებით, რომელიც გამოწვეულია პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ბარიერებით.[9]

7 Dahlerup, D. (1978). Women's Entry into Politics. The Experience of the Danish Local and General Elections 1908–20. Scandinavian Political Studies. Vol. 1, new series, nos.2–3, pp. 139–162.

8 Bari, F. (2005). Women's Political Participation: Issues and Challenges. Accessed 15/08/2014 at: http://www.un.org/womenwatch/daw/egm/enabling-environment2005/docs/EGM-WPD-EE-2005-EP.12%20%20draft%20F.pdf

9 Shvedova, N. (1998). Obstacles to Women's Participation in Parliament in Women in Parliament: beyond numbers, Ed. Karam, Azza Et Al. Handbook Series, International Idea Publication.

სტრუქტურული ბარიერები

სტრუქტურული ბარიერი მოიცავს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს და პროფესიონალურ და მენეჯერულ აქტივობებში ჩართული ქალების პროცენტულ რაოდენობას. განვითარებულ დემოკრატიებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეს ორი ფაქტორი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვნად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და საბოლოო ჯამში ცხადყოფს ქალების პროფესიონალიზმის მნიშვნელობას, რაც საბოლოოდ ისეთ პოლიტიკურ კარიერებამდე მიდის როგორიცაა ჟურნალისტიკა და სამართალმცოდნეობა.[10]

პირდაპირი კავშირი არსებობს საზოგადოებაში ქალთა სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსსა და პოლიტიკურ ინსტიტუციებსა და არჩევით თანამდებობებზე მათ ჩართულობას შორის. სოციალურ-ეკონომიკური ბარიერები მოიცავს სიღარიბეს და უმუშევრობას, ადეკვატური ფინანსური რესურსების ნაკლებობას, წერა-კითხვის უცოდინრობასა და შეზღუდულ წვდომას განათლებაზე, პროფესიის არჩევანზე, ორმაგ ტვირთს, რაც ერთდროულად საოჯახო საქმეებსა და სრული განაკვეთით მუშაობას მოიცავს. ქალები ასრულებენ არაპროპორციულად ბევრ საოჯახო საქმეს, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის პოლიტიკური კარიერის გაკეთებას.[11] გარდა ამისა, საოჯახო საქმეები, ბავშვებსა და უფროსებზე ზრუნვა ყოველთვის არ განიხილება, როგორც რეალური სამუშაო.

სიღარიბე, განსაკუთრებით კი სიღარიბის არაპროპორციულად დიდი გავლენა ქალებზე, ასევე არის ერთ-ერთი მთავარი შემაკავებელი ფაქტორი, რაც ხელს უშლის ქალებს ჩაერთონ პოლიტიკაში. ვინაიდან, საოჯახო საქმიანობის გამო, მათ უწევთ იმუშაონ ნახევარ განაკვეთზე, რაც დრამატულად მოქმედებს ქალთა შემოსავალზე. ხოლო, ქალები, რომლებიც მუშაობენ სრულ განაკვეთზე, გამოიმუშავებენ გაცილებით უფრო ნაკლებს, ვიდრე მათი კაცი კოლეგები. ამასთან, უამრავი ქალი განიცდის ფინანსური რესურსების ნაკლებობას, რათა დააფინანსონ საარჩევნო კამპანიები ან განახორციელონ სხვადასხვა ინიციატივა. ხშირად, სიღარიბე ქალებს პოლიტიკაში ჩაბმის საშუალებას არ აძლევს.[12]

ინსტიტუციური ბარიერები

გენდერული კვოტის ან პროპორციული საარჩევნო სისტემის გამოყენება არის კომპენსაციის მაგალითი იმ ინსტიტუციური ბარიერებისადმი, რომელიც ხელს უშლის სამართლიან კონკურენციას. ინსტიტუციური ბარიერები განიხილება უმთავრეს მიზეზად დაახლოებით მსგავსი ტიპის საზოგადოებებში ქალთა წარმომადგენლობის სისტემური განსხვავებების ახსნისას. ისინი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალთა პოლიტიკური აქტივიზმის საჯარო პოლიტიკური რეფორმით შეცვლისას. საარჩევნო სისტემები მნიშვნელოვანი წამახალისებელია საჯარო სამსახურებში ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად.

არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემის გზით უფრო მეტი ქალის არჩევა ხდება, ვიდრე მაჟორიტარული წესით არჩევისას.[13] პროპორციული წარმომადგენლობის

10 Rule, W. (1987). Electoral systems, contextual factors and women's opportunities for parliament in 23 democracies. Western Political Quarterly 40, pp. 477–98.

11 Ibid. 9

12 Karam, A. (2000). Beijing + 5: Women's Political Participation: Review of Strategies and Trends in United Nations Development Program, Women's Political Participation and Good Governance: 21st Century Challenges. pp. 15-26

13 Norris, P. (2000). Women's representation and electoral systems. In The International Encyclopedia of Elections, ed. Richard Rose. Washington, DC: CQ Press, pp. 348–351.

სისტემა ამომრჩეველს აძლევს საშუალებას ხმა მისცეს პარტიას და ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდს. ადგილების გადანაწილება ხდება მიღებული ხმების შესაბამისად. ასეთი სისტემა სტიმულს აძლევს პარტიებს გაზარდონ თავიანთი მიმზიდველობა სიებში ქალი კანდიდატების დამატებით. მაჟორიტარული, ერთწევრიანი სისტემა კი, ამის საპირისპიროდ, ოლქის მიხედვით მხოლოდ ერთი კანდიდატის არჩევის შესაძლებლობას იძლევა.

ზემდგომი ოლქის სიდიდე	გავლენა
აქვს უფრო დიდი რაოდენობის ადგილი ოლქის მიხედვით (ზემდგომი ოლქის სიდიდე)	პარტიული სიების მიხედვით მეტი შესაძლებლობა აქვთ ქალებს იყვნენ ნომინირებულნი
პარტია მოელის თითოეულ ოლქში რამდენიმე ადგილის მოპოვებას (ზემდგომი ოლქის სიდიდე)	დიდია შესაძლებლობა პარტიამ წარადგინოს ქალი კანდიდატები, თუკი სხვა პარტიებშიც იქნებიან ქალები ჩართულნი (გავლენა)
პარტიას აქვს მეტი შესაძლებლობა იყოს დაბალანსებული ქალების ჩართულობის საფუძველზე (დაბალანსება)	პარტიამ მოქმედი ან კაცი კანდიდატი არ უნდა უარყოს, თუკი მას სურს ქალის ნომინირება

რატომ არის პროპორციული სისტემა უკეთესი ქალებისთვის *(Source: International IDEA)*

კულტურული ბარიერები

არსებული პოლიტიკური კულტურისათვის დამახასიათებელია ტრადიციული დამოკიდებულება ქალების გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციასთან დაკავშირებით. გენდერული თანასწორობისადმი არსებული ეს დამოკიდებულება მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება ქალების არჩევით თანამდებობებზე მოხვედრის ანალიზისას. ტრადიციების მიხედვით, ქალის უპირატეს მოვალეობად კვლავაც დედისა და დიასახლისის როლი რჩება. მძლავრი პატრიარქალური ღირებულებები ინარჩუნებენ სქესის მიხედვით სეგრეგაციას. ქალების, როგორც დედის და ცოლის პასუხისმგებლობა, ასევე შიდა ოჯახური მოვალეობები, ართულებს მათ ჩართულობასა და მონაწილეობას საჯარო სივრცეში.[14]

შვედოვას (1998) მტკიცებით, დღეს არსებული პოლიტიკური გარემო მოწყობილია მამაკაცური ნორმების, ღირებულებებისა და ცხოვრების სტილის მიხედვით.[15] იგი ცნობილია როგორც პოლიტიკის მასკულინური მოდელი. აღნიშნული მოდელი ემყარება შეჯიბრებითობისა და კონფრონტაციის იდეას და ხშირად უგულებელყოფს სისტემატურ თანამშრომლობასა და კონსენსუსს, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია პარტიული კუთვნილების შემთხვევაში. შედეგად, ქალები უარს ამბობენ ამ მამაკაცური სტილის პოლიტიკაზე ან მთლიანად უარს ამბობენ პოლიტიკაზე, რის გამოც, ძალიან ცოტა მათგანი იღებს პოლიტიკაში მონაწილეობის გადაწყვეტილებას. ქალები, რომლებიც

ქალები ძალაუფლებაში = მეტი შესაძლებლობა გოგონების განათლების, ჯანმრთელობის და თანასწორობისთვის.

14 Rule, W. (1987). Electoral systems, contextual factors and women's opportunities for parliament in 23 democracies. Western Political Quarterly 40, pp. 477–498.

15 SHVEDOVA, N. 1998. „Obstacles to Women's Participation" in Karam, Azza Et Al (Eds) Parliament' in Women in Parliament: beyond numbers, Handbook Series, International Idea Publication; Bari, F. (2005). Women's Political Participation: Issues and Challenges Accessed 15/08/2014 at: http://www.un.org/womenwatch/daw/egm/enabling-environment2005/docs/EGM-WPD-EE-2005-EP.12%20%20draft%20F.pdf

ჩართულები არიან პოლიტიკაში, უფრო მეტად კონცენტრირებულები არიან საზოგადოებრივ საკითხებზე, მაგალითად, ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე. თუმცა, სამწუხაროდ, სამუშაო გრაფიკი ძალიან მოუხერხებელია და მათთვის ძნელია მსგავს გარემოში სამუშაოსა და ოჯახის შეთავსება.[16]

ქალი ლიდერების ფემინური ქცევები პოლიტიკისთვის მიუღებლად ითვლება. მეორე მხრივ, მამაკაცური ავტორიტარიზმი პოლიტიკაში დამატებით წნეხს ქმნის ქალებისთვის.[17]

UNDP-ის კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობას სჯერა, რომ პოლიტიკა კაცის საქმე უფროა, ხოლო ქალებს ამ სფეროში მხოლოდ შეზღუდული როლი უნდა ჰქონდეთ.[18] ეს გვეხმარება ქართული პოლიტიკის გაგებაში, სადაც პოლიტიკური პროცესი ძირითადად კონფრონტაციასა და ურთიერთბრალდებებზეა დამყარებული, ნაცვლად კონსტრუქციული თანამშრომლობისა. მართალია, რომ ქალები განსხვავებული პოლიტიკის გამტარებლები არიან, ვინაიდან მათი გამოცდილებაც განსხვავებულია. ამ განსხვავებული პოლიტიკის წარმოება კი მხოლოდ ქალებს შეუძლიათ.

> *„მნიშვნელობა არ აქვს, რომელ პარტიას წარმოვადგენთ, მთავარია რომ ყველამ ერთად ვიმუშაოთ ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად," - ერთ-ერთი ქალი კანდიდატი ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნებისას, 2014*

სხვა ბარიერებში მოიაზრება თავდაჯერების ნაკლებობა არჩევნებში ჩასაბმელად, პოლიტიკის როგორც „ბინძური" და კორუმპირებული საქმის აღქმა, და მედიის გავლენა, რომელიც ქალს წარმოაჩენს, როგორც „სექსულურ ობიექტს", ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქალთა რეალურ საჭიროებებს და საკითხებს, იგნორირებას უკეთებს პოლიტიკაში ქალთა არარეპრეზენტატულობის საკითხს.[19]

1.4 ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გავლენა

,,კრიტიკული მასის'' კონცეპტს მთავარი ადგილი უკავია ქალთა პოლიტიკური რეპრეზენტაციის ანუ პარლამენტში ქალების ცალსახა უმცირესობაში ყოფნის კვლევაში. გენდერის და პოლიტიკის მკვლევრები ამტკიცებენ, რომ ქალებს სავარაუდოდ არ ექნებათ დიდი გავლენა საკანონმდებლო შედეგებზე თუ არ გაერთიანდებიან და დაქსაქსული პოლიტიკიდან კოლექტიურ ბრძოლაზე არ გადავლენ. მხლოდ ქალთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაშია შესაძლებელი პოლიტიკის ცვლილება ქალთა სასარგებლოდ.[20]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ქალთა ჩართულობაზე საუბრისას არის ის, თუ რამდენად მოახერხებენ ქალები, პარლამენტში არჩევის შემდეგ, ადგილი დაიმკვიდრონ გარემოში, სადაც

16 Ibid. 17

17 Ibid. 9

18 UNDP (2013). Public Perceptions on Gender Equality in Politics and Businesses. Tbilisi. Accessed 15/08/2014 at http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_%20Research_ENG.pdf

19 Ibid.9

20 Childs, S. and Krook, M. L. (2008). Critical Mass Theory and Women's Political Representation. Political Studies, 56: 725–736.

მამაკაცები არიან დომინანტები. ქალთა რეპრეზენტაცია ნიშნავს გახადო ქალთა ხედვა ხილვადი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამიტომაც, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ევოლუცია მოხდეს დომინანტი ჯგუფის შეგნებაში, და არა უბრალოდ განხორციელდეს პოლიტიკა, რომელიც მარგინალიზებულ ჯგუფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართავს.[21] ქალების რეალური ზეგავლენა პოლიტიკაზე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და ემყარება პოლიტიკურ კონტექსტს, ქალების რაოდენობას პარლამენტში და ა.შ.[22]

პირველი ნაბიჯი პოლიტიკური დღის წესრიგის ქალთა საკითხებით გაფართოება უნდა იყოს. ეს შეიძლება მოხდეს სხვადასხვა გზით, მაგალითად: ქალებისათვის საჭირო კანონპროექტის მომზადება და ქალთა საკითხის წამოწევა საპარლამენტო დებატებისას. ქალთა პერსპექტივა ასეთი დებატებისას მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეულ თემები თუ შეხედულებები პოლიტიკურად მისაღები არ გახდება.[23]

შესაბამისი სტრატეგია, რომელიც შეთავაზებული იქნა პარლამენტში ცვლილებებისა და ქალთა გავლენის მაქსიმალიზაციისათვის, უნდა მოიცავდეს წესების დასწავლას, მათ გამოყენებასა და საბოლოო ჯამში, თავად ამ წესებისვე შეცვლას, რაც გზას გაუხსნის ქალ პოლიტიკოსებს, მომავალ თაობაში.[24]

1.5 დასკვნა

პირველი ნაწილი იძლევა იმ თეორიების მოკლე მონახაზს, რომელიც ეხება ქალთა პოლიტიკურ ჩართულობას. მასში განხილული იყო ქალთა ჩართულობის საკითხი და გამოწვევები, რომლებსაც ისინი აწყდებიან პოლიტიკურ სივრცეში შესაღწევად.

აღნიშნული დამაბრკოლებელი გარემოებები სამ კატეგორიად დავყავით: სტრუქტურული, ინსტიტუციური და კულტურული ბარიერები. როგორც ჩანს, ამ ბარიერების გადალახვა მნიშვნელოვანი ცვლილებების მომტანი იქნება, ქალთა პოლიტიკური ჩართულობის თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ქალის სოციალურ-კულტურული სტატუსი არის მთავარი წინაღობა. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს გენდერულად თანასწორი კანონმდებლობის წახალისება და ქალი კანდიდატების მხარდაჭერა. აგრეთვე მთელი ამ პროცესებისთვის ხელშემწყობი იქნება ქალთა დანიშვნა საკვანძო თანამდებობებზე და მათი შესაძლებლობების გაძლიერება პოლიტიკურ პარტიებში.

შესაბამისი ინსტიტუციები ქალებისადმი უფრო კეთილგანწყობილები (women-friendly) უნდა გახდნენ. ამ მხრივ, პირველი, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი საარჩევნო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილების მიღება იქნება.

---

21 Cramer Walsh, K. (2002). Female Legislators and the Women's Rights Agenda, in C.S. Rosenthal (ed.) omen Transforming Congress, Congressional Studies Series 4, Oklahoma: University of Oklahoma Press: Norman, pp. 370-396.

22 Karam, A. and Lovendski, J. (1998). Women in Parliament: Making a Difference. Participation in Karam, A. Et Al (Eds) in Women in Parliament: beyond numbers, Handbook Series, International Idea Publication

23 Williams, M. (1998). Voice, Trust, and Memory. The Failings of Liberal Representation, Princeton, New Jersey: Princeton University Press.

24 Ibid.10

არსებული კულტურული ბარიერების პასუხად, საჭიროა დისკურსის ცვლილება, რათა კონცეპტი „ქალი პოლიტიკოსი“ გახდეს ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა, როგორიცაა „კაცი პოლიტიკოსი“.

დაბოლოს, დავინახეთ, რომ ხელშესახები ცვლილებებისთვის მხოლოდ ქალების საჯარო მოხელის თანამდებობაზე დანიშვნა არ კმარა. იმისათვის, რომ ქალთა რეპრეზენტაცია არსებითი გახდეს, ქალ პოლიტიკოსებს ერთობლივი ძალისხმევით მოუწევთ ბრძოლა რეალური საკანონმდებლო ცვლილებებისთვის და პოლიტიკურ დღის წესრიგში ქალთა საკითხების შეტანისათვის.

2. საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები

ქალების და კაცების თანაბარი მონაწილეობა პოლიტიკურ და საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, შეიძლება ითქვას, პლურალური დემოკრატიის გულისგულია. არაერთი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა მექანიზმი არსებობს საჯარო სივრცეში ქალთა ჩართულობის მხარდასაჭერად. ქალსა და კაცს შორის თანასწორობა სავალდებულო გახდა ყველა იმ რეჟიმისთვის, რომელმაც ამ მექანიზმების (ქარტიები, კონვენციები, რეზოლუციები და ა.შ) რატიფიცირება მოახდინა. მეტიც, ის არის როგორც წინაპირობა დემოკრატიული რეჟიმის ლეგიტიმაციისთვის, ასევე მათი პასუხისმგებლობა და ვალდებულება.

2.1 სავალდებულო შეთანხმებები

გაეროს დამფუძნებელი დოკუმენტი, **გაეროს ქარტია,** მოიცავს საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის საფუძვლებს: თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს. **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR)** ასევე იცავს ნებისმიერ ადამიანს ყველა სახის დისკრიმინაციისაგან, მათ შორის სქესის ნიშნითაც. **საერთაშორისო კონვენცია ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებებისთვის და საერთაშორისო კონვენცია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისთვის** ორივე ეს დოკუმენტი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან გამომდინარეობს და აყალიბებს კიდევ უფრო მეტად სპეციფიკურ შეთანხმებას თანასწორობის უფლებაზე ქალსა და კაცს შორის, საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.[25]

საქართველომ, დათქმების გარეშე, მოაწერა ხელი და რატიფიცირება მოახდინა[26] **ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციას** და აიღო ვალდებულება, რომ არა მხოლოდ სერიოზულ ზომებს გაატარებს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, არამედ დაიცავს ქალებს და შეუწყობს ხელს თანასწორობის პოპულარიზებას საკანონმდებლო, საჯარო ინსტიტუტების, სხვადასხვა ორგანიზაციისა და ინდივიდუალური პირების დონეზე.

25 Art. 1 UN Charter, Art. 2 ICCPR, Art. 2 ICESCR

26 Art. 7 UN CEDAW

ქალთა პოლიტიკურ უფლებათა კონვენციის დებულებაში, 1952 წელს შესული შესწორებით, მე-7 მუხლი კიდევ ერთხელ ადგენს, რომ ქალებს აქვთ გარანტირებული ხმის მიცემის, საჯარო თანამდებობის დაკავებისა და საჯარო ფუნქციების განხორციელების უფლება.

კონვენციის მე-8 მუხლი კი განავრცობს ქალების უფლებას, თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი საერთაშორისო დონეზე. [27]

ასევე მნიშვნელოვანი დოკუმენტია „კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (CEDAW) ქალთა უფლებების ინტერპრეტაციისა და ამ მხრივ სახელმწიფო ვალდებულებების განსაზღვრისათვის. CEDAW კომიტეტი ზოგადი რეკომენდაციების #23-ე მუხლში, სახელმწიფოს უწესებს სხვადასხვა რეკომენდაციას,[28] რათა გარანტირებული იყოს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა. იგი მოიცავს სხვადასხვა, ზოგადი, პოზიტიური ზომის და აგრეთვე, დროებითი სპეციალური ღონისძიების გატარებას, რათა ქალებს გარანტირებული ჰქონდეთ საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში მაღალ დონეზე მონაწილეობის უფლება.

"...ქალების აქტიური ჩართულობა, მამაკაცებთან თანასწორობის პირობებში, გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე, უმნიშვნელოვანესია თანასწორობის, მდგრადი განვითარების, მშვიდობისა და დემოკრატიის დასამკვიდრებლად," - ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 2011

CEDAW კონვენციის მეოთხე მუხლი ამბობს, რომ სახელმწიფომ უნდა გაატაროს დროებითი ღონისძიებები, რათა დააჩქაროს ქალების თანასწორი მონაწილეობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამოქალაქო სფეროში. ზოგადი რეკომენდაციის 25-ე მუხლში,[29] დროებით ღონისძიებებთან დაკავშირებით, კომიტეტი იძლევა ფართო ინტერპრეტაციას, რომელიც მას განმარტავს როგორც: „მრავალფეროვან საკანონმდებლო, აღმასრულებელ, ადმინისტრაციულ და სხვა მარეგულირებელ ინსტრუმენტებს, პოლიტიკას და პრაქტიკას, როგორიც არის მოზიდვისა თუ მხარდაჭერის პროგრამები; რესურსების განაწილება ან/და გადანაწილება; უპირატესობის მინიჭებას; მიზნობრივ რეკრუტირებას, დაქირავებას და ხელის შეწყობას; დროში გაწერილ რიცხობრივ მიზნებს; და კვოტირების სისტემას;"

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, გაეროს წევრი 189 ქვეყნიდან, რომელმაც მიიღო პეკინის დეკლარაცია და პეკინის მოქმედების პლატფორმა (BPfA) 1995 წელს.[30] დეკლარაციის მიზანია, ხელი შეუწყოს ქალთა და კაცთა შორის თანასწორობის პრინციპებს, ხოლო მოქმედების გეგმა განიხილავს ქალთა უფლებებს როგორც ადამიანის უფლებებს და ადგენს სპეციალურ ღონისძიებებს, რომელიც უნდა გაატაროს სახელმწიფომ ამ უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფისათვის.

---

27 Art. 8 UN CEDAW

28 United Nations, Committee on the Elimination of Discrimination against Women, General Recommendation No. 23, Political and Public Life, HRI/GEN/1/Rev.6 at 260 (1997).

29 United Nations, Committee on the Elimination of Discrimination against Women, General Recommendation no. 25, Temporary Special Measures, UN Doc. CEDAW/C/2004/I/WP.1/Rev.1, 30 (2004).

30 United Nations, Beijing Declaration and Platform of Action, adopted at the Fourth World Conference on Women, 27 October 1995. Available at: http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/pdf/BDPfA%20E.pdf

BPfA-მ მიზნად დაისახა, რომ 2000 წლისათვის ქალებს უნდა დაეკავებინათ მენეჯერული და გადაწყვეტილების მიმღები პოზიციების 50%-მდე გაეროში. სამოქმედო პლატფორმის მეორე თაობის სტრატეგიული მიზანი ქალებისათვის გადაწყვეტილების მიღებისა თუ ლიდერობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გაძლიერებისაკენ მოწოდებაა.

საქართველომ, 2015 წლამდე, ასევე უნდა შეასრულოს ვალდებულება, რომელიც ეხება **ათასწლეულის განვითარების მიზნებს გენდერული თანასწორობისა და ქალთა შესაძლებლობების გაძლიერებისათვის.**

2003 წელს, გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია **58/142 ქალების და პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ,** რათა ხაზი გაესვათ ქალთა მონაწილეობის გაძლიერების მნიშვნელობისთვის ძალაუფლების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[31] ის მოითხოვს სახელმწიფოებისგან, გაეროსგან, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა აქტორებისგან, რომ შეიმუშაონ ყოვლისმომცველი პოლიტიკა ამ მიმართულებით. მოგვიანებით, 2011 წელს, ქალთა პოლიტიკური ჩართულობის მნიშვნელობას ყოველ კონტექსტში ხაზი გაესვა **ქალებისა და პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ 66/130 რეზოლუციაში[32].**

2.2 საერთაშორისო რეკომენდაციები

2003 წლის მარტში, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო **სარეკომენდაციო ჩანაწერი N3 (2003) პოლიტიკური და საჯარო გადაწყვეტილების მიღებისას ქალებისა და კაცების თანაბარ მონაწილეობაზე,**[33] რომლის მიხედვითაც განსაზღვრა, რომ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში პოლიტიკურ თუ საჯარო ადგილებში, თანაბარ წარმომადგენლობად ჩაითვლებოდა, თუკი ორივე სქესის წარმომადგენელთა წილი საერთო რაოდენობაში არ იქნებოდა 40%-ზე ნაკლები.

განისაზღვრა რვა მიზანი, რომელიც უნდა იქნეს მიღებული წევრის სახელმწიფოების მიერ და მოიცავს სამოქალაქო თანასწორობის და პოლიტიკურ უფლებებს, კანონმდებლობის რევიზიას, მიზნების განსაზღვრას და ქალთა მხარდაჭერას პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისათვის. მეტიც, იგი მოიცავს საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და მხარდამჭერ ზომებს და მოუწოდებს მთავრობას, მოახდინოს თანაბარი მონაწილეობის მხრივ მიღწეული პროგრესის მონიტორინგი და შეფასება. რეკომენდაციის დანართი მოიცავს ათ ინდიკატორს, რომელიც შემუშავდა პროგრესის მასშტაბების გაზომვისათვის.[34]

იზიარებდნენ რა ზემონახსენებ რეკომენდაციის მესამე ჩანაწერს (2003) და პეკინის დეკლარაციის

31 United Nations, Resolution A/RES/58/142, Women and Political Participation, 22 December 2003. Accessed 15/08/2014 at: http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/58/142&Lang=E

32 United Nations, Resolution A/RES/66/130, Women and Political Participation, 19 December 2011. Accessed 15/08/2014 at: http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/66/130

33 Council of Europe, Recommendation Rec (2003) 3 of the Committee of Ministers to member states on balanced participation of women and men in political and public decision making, 2003. Accessed 15/08/2014 at https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=Rec(2003)3&Language=lanEnglish&Ver=original&Site=CM&BackColorInternet=C3C3C3&BackColorIntranet=EDB021&BackColorLogged=F5D383

34 Para. 4 Rec(2003)3

მიზნებს, ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების კონგრესმა გამოსცა **რეკომენდაცია N148 (2004) - გენდერული წარმომადგენლობა ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე: სტრატეგია ქალთა და კაცთა თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ქალაქებსა და რეგიონებში.** კონგრესი ადვოკატირებას უწევს სხვადასხვა აქტივობას წევრ ქვეყნებში, რომელიც მოიცავს გენდერული სეგრეგაციის სტატისტიკის შეგროვებას, გენდერული პოლიტიკის მონიტორინგს, სპეციალური საკონსულტაციო მეთოდების მიღებას, კაცებისა და ქალების შეხედულებებისა და საჭიროებების განსაზღვრისათვის, რათა მოხდეს როგორც ქალთა, ასევე კაცთა პოზიციების დაფიქსირება გადაწყვეტილებების მიღებისას.[35]

კონგრესმა, 2010 წლის მარტში, ასევე მიიღო **რეკომენდაცია N288 მდგრადი გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ადგილობრივ და რეგიონალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში.** კონგრესს მიაჩნია, რომ მთავრობები მმართველობის ნებისმიერ დონეზე არიან პასუხიმგებელნი გენდერული თანასწორობისთვის ხელშეწყობაზე. ამიტომაც, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებები უნდა მონაწილეობდნენ „სოციალურ და კულტურულ პროცესებში, რასაც მოითხოვს თანასწორობა". კონგრესი ასევე იძლევა დამატებით რეკომენდაციებს, რომ ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკა, კანონმდებლობის ამოქმედების კუთხით, რომელიც შესაძლებელს გახდის ნებისმიერ აქტივობაში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებას, მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტებს და რეგიონებს გენდერული პერსპექტივის გააზრება-დანერგვაში და ქალების პოლიტიკაში ჩართვას.[36]

3. წარმატებული მაგალითები

პოლიტიკური მონაწილეობა ძირითადად სამ სეგმენტად იყოფა: უფლება აირჩიო პოლიტიკური ხელმძღვანელობა, უფლება მიიღო მონაწილეობა პოლიტიკურ მმართველობაში და გენდერულად სენსიტიური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები მექანიზმის დანერგვა.

"ყველა ქვეყანა იმსახურებს ჰყავდეს შესაძლო საუკეთესო ლიდერი, რაც ნიშნავს ქალებისათვის კენჭისყრის შესაძლებლობის მიცემის აუცილებლობას. თუკი მათ არასდროს ექნებათ არჩევნებში ჩაბმის საშუალება, ეს ნიშნავს რომ ქვეყანა საკუთარ თავს ჰარავს პოტენციალის დიდ ნაწილს," - მადლენ ოლბრაიტი

გზამკვლევის ეს ნაწილი მიმოიხილავს ზოგიერთი ქვეყნის წარმატებულ პრაქტიკას ბოლო ორ სეგმენტთან დაკავშირებით. როგორ ავირჩიოთ უფრო მეტი ქალი საჯარო თანამდებობაზე? და როგორ შევუწყოთ ხელი ქალების ეფექტურ მონაწილეობას მმართველობით ორგანოში?

35 Council of Europe, Recommendation 148 of the Congress of Local and Regional Authorities on gender mainstreaming at local and regional level a strategy to promote equality between women and men in cities and regions, 2004. Accessed 15/08/2014 at: https://wcd.coe.int/ViewDoc.sp?id=815713&BackColorInternet=e0cee1&BackColorIntranet=e0cee1&BackColorLogged=FFC679

36 Council of Europe, Recommendation 288 of the Congress of Local and Regional Authorities on achieving sustainable gender equality in local and regional political life, 2010. Accessed 15/08/2014 at: https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=1621123&SecMode=1&DocId=1556046&Usage=2

3.1 ქალთა წარმომადგენლობა ეროვნულ პოლიტიკაში

ახლახან გამოქვეყნებული პარლმენტთა შორის კავშირის (IPU) წლიური ანგარის მიხედვით, 2013 წელი რეკორდული აღმოჩნდა მსოფლიოს მასშტაბით ქალი პარლამენტარების არჩევის თვალსაზრისით. ქალების საპარლამენტო ადგილების პროცენტული მაჩვენებელი 21.8% გახდა და წინა წელთან შედარებით, 1.5%-ით არის გაზრდილი.[37]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პარტიების წევრთა 40% ქალია,[38] მათი მონაწილეობა მმართველობაში შეზღუდულია.

2012 წლის საპარლმენტო არჩევნებში, ქალებმა 150 ადგილიდან 17 ადგილი მოიპოვეს, რაც საერთო რაოდენობის 11 %-ს შეადგენს.



ქალების რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი მსოფლიოსა და რეგიონებში 1995 და 2013 წლები (წყარო: IPU)

37 IPU (2014). Women in Parliament in 2013. Geneva. Accessed 15/08/2014 at http://ipu.org/pdf/publications/WIP2013-e.pdf.

38 Bagratia, T. and Badashvili, M. (2012), „Developing Intra-party democracy from a gender perspective“, Intra-party Democracy and Local Governance, Tbilisi: NIMD Georgia.

მიუხედავად მცირე პროგრესისა 2008 წლის არჩევნებთან შედარებით (6.4%), სტატისტიკა ცხადყოფს, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა ჩართულობა დაბალია. ამასვე ცხადყოფს გლობალური გენდერული ინდექსი, რომლის მიხედვითაც, საქართველო 136 ქვეყნიდან 97 ადგილზეა ქალი პოლიტიკოსების მონაწილეობის ნიშნით.[39]

3.2 ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ პოლიტიკაში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქალების წარმომადგენლობითობა გადამწყვეტია გენდერულად სენსიტიური პოლიტიკისა და სერვისების ჩამოსაყალიბებლად, ხოლო ქალ პოლიტიკოსებს შეუძლიათ ადვოკატირება გაუწიონ ქალთა საკითხებს. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების შემთხვევაში.

კარგ თვითმმართველობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ თემთა ცხოვრების პირობებზე. ვიდრე ქალები არ ჩაერთვებიან ამ დონეზე პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ცვლილებები ქალთა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში, უმეტეს შემთხვევაში, მინიმალური იქნება.

ქალები ისეთივე ბარიერებს აწყდებიან ადგილობრივ დონეზე, როგორზეც წინა თავებში გვქონდა საუბარი. მეტიც, გაეროს მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი მთავრობები არსებითად პატრიარქალური ინსტიტუციებია და ქალების წარმომადგენლობა ჯერ კიდევ ძალიან დაბალია მერიასა და მმართველობით ინსტიტუტებში.[40]

2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში, საქართველოში არჩეულ კანდიდატთა შორის, 11.1% იყო ქალი. არცერთ თვითმმართველ ქალაქში არ აირჩიეს ქალი მერად და 64 საკრებულოს თავმჯდომარიდან მხოლოდ ორია ქალი, რაც 3%-ია. პოლიტიკურ თანამდებობებზე არჩეული ქალების რაოდენობა განსაკუთრებით დაბალი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქალაქებშია.



კაცი და ქალი კანდიდატები 2014 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე, საქართველო (Source: IRI Georgia)

39 Annual Report of the Public Defeder (2013). Accessed 15/08/2014 at http://ombudsman.ge/uploads/other/1/1506.pdf.

40 UN Habitat (2008) „Gender in Local Government. A Sourcebook for Trainers“. Accessed on 15/08/2014 at http://www.un.org/womenwatch/directory/pdf/Source_BK_9-May.pdf.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე ინიციატივა განხორციელდა ქალი ლიდერების გასაძლიერებლად, თუმცა არჩეული ქალების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალი დარჩა.

3.3 საჯარო სამსახურში არჩეული ქალები

კანონმდებლობა

ქალების უფლებებთან დაკავშირებული საკითხები და ანტიდისკრიმინაციული ჩანაწერები უფრო და უფრო ხშირად აისახება ახალ კონსტიტუციებსა თუ საკონსტიტუციო რეფორმებში. მიუხედავად იმისა, რომ **თანასწორობის საკონსტიტუციო გარანტიები** ვერ უზრუნველყოფენ ამ უფლების პრაქტიკაში წარმატებით დანერგვას, იგი მიანიშნებს ქალთა უფლებების რეალიზებისთვის მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაღებასა და პოლიტიკური ნების არსებობაზე.

კონსტიტუციურ ცვლილებებს შეუძლია გაზარდოს უფლების მოთხოვნის ლეგიტიმაცია და იმოქმედოს როგორც დამხმარე „უფლებრივმა ჩარჩომ“ კანონიერი ცვლილებების ხელშეწყობაში.[41] თუმცა, გენდერულად სენსიტიურმა კონსტიტუციამ უნდა გაანალიზოს მთლიანი დოკუმენტი არა „ქალთა საკითხის“ ვიწრო ჭრილიდან, არამედ გენდერული პერსპექტივიდან. კონსტიტუციის პრეამბულა უნდა მოიცავდეს სპეციფიკურ მითითებებს ქალებისა და კაცების თანასწორობის კუთხით, რათა თანასწორობის პრიორიტეტების დოკუმენტში კონსოლიდირება მოხდეს. რუანდის კონსტიტუცია ამის კარგი მაგალითია. კონსტიტუციის პრეამბულა უზრუნველყოფს როგორც თანასწორობის პრინციპის, ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების პატივისცემას. ამასთან, ის აკონკრეტებს კაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის გაგებას და კრძალავს დისკრიმინაციას გენდერული ნიშნით.

კონსტიტუციამ ყურადღება უნდა მიაქციოს თანასწორობას პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაშიც. კოლუმბიის კონსტიტუცია ამბობს, რომ: „ხელისუფლება უზრუნველყოფს ქალების ადეკვატურ და ეფექტურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისას საჯარო ადმინისტრაციაში.“ როგორც უგანდის, ასევე რუანდის კონსტიტუციები კონკრეტულ ბარიერსაც კი ადგენენ პოლიტიკურ ინსტიტუტებში ქალთა ჩართულობის, ქალების წინააღმდეგ პოლიტიკური დისკრიმინაციის აკრძალვისა და პოლიტიკურ ორგანოებში გენდერული კვოტის ინსტიტუციონალიზაციისთვის.

ცვლილება უნდა მოიცავდეს ქალების უფლებებს საერთაშორისო დონეზეც, რათა მოხდეს საერთაშორისო ხელშეკრულებების თვითაღსრულება კონსტიტუციის ფარგლებში. გერმანიაც და სლოვენიაც პირდაპირ ადგენენ თავიანთ კონსტიტუციებში, რომ საერთაშორისო კანონმდებლობა აღმატებულია ფედერალურ და ადგილობრივ კანონებზე.

სხვადასხვა მკვლევარი აღნიშნავს, რომ პოლიტიკურმა სტრუქტურამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ქალთა პოლიტიკურ კარიერაზე პარლამენტში. პროპორციულმა საარჩევნო სისტემამ აჩვენა, რომ ზემოაღწერილ პოლიტიკურ კულტურებში ასეთი კანონმდებლობით სამჯერ და ოთხჯერ მეტი ქალის არჩევა ხდება თანამდებობებზე.

41 Waylen, G. (2007). „Engendering Transitions: Women's Mobilization, Institutions, and Gender Outcomes“, Oxford, New York: Oxford University Press (2007), pg. 538.

შიდა პარტიული მენეჯმენტი

ქალთა პოლიტიკური გაძლიერებისთვის გადამწყვეტია, თუ რამდენად მონაწილეობენ ქალები პარტიულ პოლიტიკაში და როგორ უწყობენ ეს პარტიები ხელს ქალთა პოლიტიკურ ჩართულობას. პარტიებმა უნდა გაატარონ სერიოზული ზომები საარჩევნო ციკლებს მიღმა, რათა დარწმუნებული იყვნენ, რომ ქალები ბოლომდე არიან ჩართულნი პარტიულ სტრუქტურაში. ასევე, საჭიროა ორგანიზაციული და ფინანსური საკითხების ქალებისადმი უფრო მეტად სასარგებლოდ გადაწყვეტა.

მნიშვნელოვანია, რომ პარტიებმა შეიმუშავონ წესები, რომელიც ქალთა წარმომადგენლობის გარანტია იქნება. პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ საკუთარი სურვილით დააწესონ **კვოტები,** რათა დარწმუნდნენ, რომ ქალთა გარკვეული რაოდენობა აუცილებლად იყრის კენჭს თანამდებობაზე. რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ ევროპის მასშტაბით შეიმუშავა მსგავსი კვოტები. მათ შორის არიან სკანდინავიური ქვეყნები, რომლებსაც დიდი ხანია უკვე ყველაზე მეტი ქალი პარლამენტარი ჰყავთ. მაგალითად, ნორვეგიის ცენტრისტულ პარტიას აქვს 40%-იანი კვოტა ორივე სქესისთვის, ნებისმიერ არჩევნებსა თუ ნომინაციაში, 1989 წლიდან მოყოლებული.[42]

დაბოლოს, ქალთა ჩართულობის გაზრდის საპასუხოდ **წახალისება** თუ სანქციები საკმარისად სეროზული უნდა იყოს საიმისოდ, რომ ქალებმა შიდა პარტიულ ქცევებზე ზეგავლენა მოახდინონ. ამიტომაც წახალისება უნდა მოხდეს არა უბრალოდ პარტიაში ქალების რაოდენობის, არამედ გამარჯვებული ქალების პროცენტული რაოდენობის მიხედვით, რომლებმაც რეალურად მოიპოვეს ადგილები.

აუცილებელია **შიდა რეფორმირების ინიციატივები,** რათა ჩაცხრეს წინააღმდეგობა ქალთა ლიდერობის მიმართ; ასევე, მუშაობა პარტიის პოლიტიკურ ლიდერებთან ქალი ლიდერების საკითხზე. არსებითია, რომ ქალებისათვის ბარიერების მოხსნის პროცესში ჩაერთონ კაცებიც და მათი მხარდაჭერით გაიზარდოს ქალების პოლიტიკური მონაწილეობა.

პოლიტიკური პარტიების შიგნით აუცილებელია **გამჭვირვალობა.** გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა უკავშირდება ძველ პარტიულ მენტალიტეტს, რომელიც ქალთა მონაწილეობას ზღუდავს. მაშინ, როდესაც გამჭვირვალობა პარტიის განვითარების ცალსახა საწინდარია.[43]

დიდი ბრიტანეთის ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას აინტერესებდა მიზეზი, რის გამოც ქალები პოლიტიკის მიღმა რჩებოდნენ და დაიწყო კამპანია სახელწოდებით „ფული, თავდაჯერებულობა და კულტურა," რომელიც პოლიტიკაში ახალბედების სამ მთავარ წინაღობას იღებდა მიზანში. პირველი, ეს იყო არათანაბარი ფულადი რესურსების პრობლემა ქალი კანდიდატებისთვის. მათ დააფუძნეს ნდობის ფონდი, რათა დახმარებოდნენ ქალ კანდიდატებს კამპანიის პერსონალური ხარჯების დაფარვაში, რაც მოიცავდა მგზავრობის საფასურს თუ ხარჯებს ბავშვებსა და მოხუცებზე ზრუნვისთვის. მეორე, თავდაჯერების ინიციატივა მოიცავდა პროგრამას, რომლის მეშვეობითაც პარლამენტის წევრებს

42 Other data available in the Global Database of Quotas for Women. Accessed on 15/08/2014 at http://www.quotaproject.org/systemParty.cfm?region=50

43 Commonwealth Parliamentary Association. „Increasing Women's Roles in Political Parties. A Programmatic Perspective". Accessed 115/08/2014 at http://www.cpahq.org/cpahq/Mem/About_Us/Programmes/Conferences/Commonwealth_Parliamentary_Conferences/56th_CPA_CWP4/Increasing_Women_s_Roles_in_Political_Parties__A_Programmatic_Perspective.aspx

ეხმარებოდნენ მათი საქმიანობის რეალური ასპექტებისა და პოლიტიკური კულტურის მოთხოვნების განსაზღვრაში. ამ აღქმის მიხედვით, ქალებისთვის სპეციალური ტრენინგები შემუშავდა (მაგ: საჯარო გამოსვლა, ჩამჭრელი კითხვები და დებატები). მესამე, ცნობიერების ამაღლების კამპანია დაიწყო ადგილობრივი პარტიების უმეტესობის დონეზე, რათა მხარი დაეჭირათ კონსტრუქციული უნარების განვითარებისთვის, რათა მომხდარიყო ქალი ლიდერების და კანდიდატების აღმოჩენა. [44]

საარჩევნო კვოტები

გენდერული კვოტა ეფექტური მექანიზმია პოლიტიკურ ინსტიტუტებში გენდერული ბალანსის სწრაფად მისაღწევად. არსებობს კვოტების სამი მთავარი ტიპი, რომელიც დღეს გამოიყენება: (ა) დაკავებული ადგილები; (ბ) კანონიერი კანდიდატების კვოტა; და (გ) პოლიტიკური პარტიის კვოტები.

პირველი არეგულირებს ასარჩევ ქალთა რაოდენობას, დარჩენილი ორი კი განსაზღვრავს ქალი კანდიდატების ადგილების მინიმუმს.

საარჩევნო კვოტას შეუძლია გამუდმებით იქონიოს გავლენა პოლიტიკურ შედეგებზე, ვინაიდან ქალ ლიდერთა არჩევის მოთხოვნა ცვლის ამომრჩეველთა დამოკიდებულებას და მათ მიერ ქალი ლიდერების აღქმას.

ყირგიზეთში, 2005 წლის საპარლამენტო არჩევნებში, არცერთი ქალი არ არჩეულა, თუმცა სამი წლის შემდეგ, როცა შემოიღეს კვოტირების სისტემა და ახალი საარჩევნო კოდექსი (2007 წელს), ქალთა წარმომადგენლობამ პარლამენტში 26.6 %-ს მიაღწია.[45]

შეიძლება მოვიყვანოთ რუანდის მაგალითიც, რომელმაც დანერგა ახალი ტენდენცია და არჩევნებში გენდერული კვოტა გამოიყენა როგორც სწრაფი გზა დაბალანსებული პარლამენტის ჩამოსაყალიბებლად. სულ ცოტა ხნის წინ კი, რუანდამ ჩაანაცვლა შვედეთი, როგორც ნომერ პირველი ქვეყანა პარლამენტში ქალთა რეპრეზენტაციის მხრივ.

ბელგიამ და ესპანეთმა, ორივემ საკმაოდ წარმატებულად დანერგა და განავითარა კვოტირების სისტემის პრაქტიკა; კანდიდატთა სია, რომელიც არ პასუხობს გენდერული თანასწორობის მოთხოვნებს, ვერ გაივლის რეგისტრაციას საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად. აგრეთვე, 1992 წელს, ისრაელმა მიიღო კანონი, რომელიც განსაზღვრავს ქალთა დასწრების მანდატს საჯარო კომპანიების დირექტორთა საბჭოში, ხოლო კერძო კომპანიებს ევალებათ, რომ დირექტორთა საბჭოში 1/3-იანი კვოტა დაწესდეს ქალებისთვის. მსგავსი კანონი მიიღეს 2011 წელს ბელგიაშიც და განისაზღვრა ფინანსური სანქციები კანონდამრღვევების წინააღმდეგ.

რუანდაში დანერგილია საინტერესო პრაქტიკა ადგილობრივ არჩევნებში ქალი კანდიდატების მხარდასაჭერად. 2001 და 2006 წლის არჩევნებზე გამოიყენებოდა სამმაგი ბიულეტენი. ამომრჩევლები იღებდნენ საერთო ბიულეტენს, ქალთა ბიულეტენს და ახალგაზრდების ბიულეტენს და უხდებოდათ აერჩიათ თითო კანდიდატი ყოველი ბიულეტენიდან. მთლიანობაში, ეს იყო ძალისხმევა, რათა ამომრჩეველს კომფორტულად შესძლებოდა ქალებისთვის ხმის მიცემა, ხოლო მეორე მხრივ, გაზრდილიყო ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივ არჩევნებში.

---

44 Council of Europe Positive Action Survey 1998 (Women Liberal Democrats and Jackie Ballard, Liberal Democratic MP.

45 UNDP (2009). Enhancing Women's Political Participation: A Policy Note for Europe and CIS, Bratislava.

მიუხედავად იმისა, რომ კვოტირების იდეას ხშირად ნეგატიური გამოხმაურება მოყვება ხოლმე პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, პოლონეთმა დაამტკიცა, რომ საკმარისი ძალისხმევის პირობებში, შესაძლებელია ახალი საარჩევნო კვოტის დანერგვა. მოქალაქეთა ინიციატივით, საკანონმდებლო ნიმუში წარდგენილი იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც წლების განმავლობაში, ქალთა მოძრაობა აქტიურად ლობირებდა ამ კანონის მიღებას. მოძრაობა მასიურ აქტივიზმში გადაზარდა და 150 000 ხელმოწერა შეგროვდა. შემუშავებული კანონმდებლობით, გენდერული კვოტა განისაზღვრა 35 %-ით, რამაც მნიშვნელოვანად გაზარდა ქალი კანდიდატების რაოდენობა საარჩევნო სიაში. [46]

“თუ გაინტერესებთ როგორ ვითარდება ქვეყანა, ნახეთ მისი ბიუჯეტი და მასში ქალებსა და ბავშვებზე რესურსების გადანაწილება,“ - პრეგს გოვენდერი, პარლამენტარი, სამხ. აფრიკა

გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტირება

გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტი (GRB) აცნობიერებს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას საზოგადოებაში და გამოყოფს ფულს ისეთი პოლიტიკისა და პროგრამების შესამუშავებლად, რომელიც მოიტანს ცვლილებებს ამ კუთხით, რათა გადაიდგას ნაბიჯები კიდევ უფრო თანასწორი საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ.

GRB - ის მიზანია, ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის დამკვიდრება ბიუჯეტირების პროცესზე ზეგავლენის გადანაწილების მეშვეობით. ამავდროულად, იგი ზრდის ცნობიერებას, რომ ბიუჯეტს შესაძლოა განსხვავებული ეფექტი ჰქონდეს ქალსა და მამაკაცზე, მთავრობას ხდის პასუხისმგებელს გენდერული თანასწორობის კომიტეტების წინაშე.

სამხრეთ აფრიკაში, გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტის შემოღების ინიციატივამ განავითარა ხუთ-საფეხურიანი პოლიტიკის გატარებისა და ბიუჯეტის ანალიზის გზა:[47]

1. ამა თუ იმ სექტორში გენდერული სიტუაციის ანალიზი კაცებთან, ქალებთან, გოგონებთან და ბიჭებთან მიმართებაში;

2. პოლიტიკური სიტუაციის გენდერული მახასიათებლების გაანალიზება;

3. გამოყოფილი თანხების გაანალიზება, რათა განისაზღვროს არის თუ არა ის საკმარისი გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის გასატარებლად;

4. ხარჯებისა და პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი (ეს პუნქტი მოითხოვს სახსრების ხარჯვის მიზანშეწონილობის შეფასებას);

5. შედეგების შეფასება (მოიცავს პოლიტიკისა და სახსრების ხარჯვის შედეგების შეფასებას და განსაზღვრას, თუ რამდენად მოახდინა ამ ყველაფერმა ზეგავლენა მთავრობის გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე).

46 Dersnah, M.A. (2013) Women in Political and Public Life. Global Report for the Working Group on the issue of discrimination against women in law and practice.

47 South African Women’s Budget Initiative and Gender Education and Training Network (2000) Money matters: Workshop materials on gender and government budgets GETNET, Cape Town, South Africa

გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტი ფედერალურ დონეზე ავსტრიამ 2004 წელს წარადგინა. ავსტრიის პრაქტიკამ ცხადყო, რომ ფედერალურ ბიუჯეტზე ზეგავლენის მოხდენა ფაქტობრივად შეუძლებელია ფინანსთა სამინისტროს მძლავრი მხარდაჭერისა და აქტიური მუშაობის გარეშე. 2009 წელს, გენდერული ბიუჯეტირება ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციის ერთ-ერთი მუხლშიც (მუხლი 13(3)) კი შევიდა: „ფედერაციმ, ფედერალურმა მიწებმა და მუნიციპალიტეტებმა მიზნად უნდა დაისახონ ქალებსა და მამაკაცებზე დე ფაქტო თანაბრად გადანაწილებული ბიუჯეტის მენეჯმენტი."

ფორუმმა ქალებისათვის დემოკრატიაში (FOWODE), უგანდაში, სპეციალური ტრენინგ-კურსი შექმნა ქალი საჯარო მოხელეებისათვის, რათა მათ თვითმმართველობის დონეზე ბიუჯეტირების პროცესში, ქალების ინტერესების ადეკვატური წარმოდგენა შეძლონ.

ახალგაზრდული პროგრამები

კიდევ ერთი ეფექტური იარაღი ქალთა პოლიტიკური ჩართულობისა და ლიდერობის გაზრდისთვის არის ახალგაზრდული პროგრამები. ისინი ქმნიან შესაბამის გარემოს, სადაც ახალგაზრდა ქალებს პოლიტიკურ კარიერაში ადრეული ასაკიდანვე შეუძლიათ საკუთარი თავის, როგორც მნიშვნელოვანი აქტორის, დანახვა. ქალი წარმომადგენლების სიმცირის გარდა, არსებულ პოლიტიკურ სივრცეში არანაკლებ პრობლემატურია ახალგაზრდული პერსპექტივის დეფიციტი.

მიუხედავად ამისა, ისინი არის სწორედ ის ახალგაზრდები, რომელთაც შეუძლიათ მოიტანონ გრძელვადიანი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები.

3.4 ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის წახალისება

იმისათვის რომ გაიზარდოს ქალთა რაოდენობა პოლიტიკაში, მნიშვნელოვანია მათთვის შესაბამისი ტრენინგების მეშვეობით, საარჩევნო **კამპანიის წარმართვისათვის საჭირო უნარების** გაუმჯობესება. ბაჰრეინში პირველი ქალი კანდიდატი მას მერე აირჩიეს, რაც მან მონაწილეობა მიიღო მსგავს ტრენინგში. **ტრენერების ტრენინგის** მეთოდოლოგია კი ამტკიცებს, რომ იგი ეფექტური და მდგრადი გზაა ქალთა პოლიტიკური ცოდნის, უნარების და შესაძლებლობების გაზრდისთვის.

ასევე მიღებული პრაქტიკაა **ფინანსური რესურსებით** ქალი კანდიდატების დახმარება. კანადის 1974 წლის საარჩევნო აქტი საარჩევნო კანდიდატს უნაზღაურებს ბავშვის მოვლის ხარჯებს წინასაარჩევნო კამპანიის დროს. პანამის საარჩევნო კოდექსის მე-60 მუხლი ადგენს, რომ პარტიებმა მათი საჯარო დანახარჯების მინიმუმ 25% უნდა მიმართონ შესაძლებლობების გაძლიერებისაკენ, რომლის მინიმუმ 10%-იც ქალი კანდიდატებისთვის უნდა გამოიყოს. კოსტა-რიკაში, მოქალაქეების მოქმედების პარტიის (Citizen's Action Party) შემოწირულობების 15% ქალებისა და ახალგაზრდების დატრენინგებას უნდა მოხმარდეს.

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ქალებს ხშირად ძალიან უჭირთ ბალანსის მონახვა სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის. ამ მიზნით, გამართლებულია **ოჯახზე ორიენტირებული პოლიტიკური ცხოვრების** ხელშეწყობა, რასაც შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ქალებს. ავსტრალიამ შეცვალა წარმომადგენლობითი სახლის სამუშაო საათები და 21:00 სთ-ის შემდეგ იგი წყვეტს მუშაობას.

დამატებით, პარლამენტის შენობაში გაიხსნა ბავშვთა ზრუნვის ცენტრი. ხოლო ორსულობის გამო გამოუცხადებლობისას, ქალ პოლიტიკოსებს შეუძლიათ თავიანთ ხელმძღვანელს სთხოვონ მათ მაგივრად ხმის მიცემის პულტის გამოყენება.

ნორვეგიაში ორივე, საჯარო და კერძო დღის ზრუნვის ცენტრები სუბსიდირებულია სახელმწიფოს მიერ და ნორვეგია მსოფლიოში მეორე ადგილზე როგორც დედებისთვის საუკეთესო ქვეყანა [48]. შვედეთში ძიძები უფასოა საჯარო და კერძო სექტორში მომუშავე დედებისათვის და ფინანსდება სახელმწიფო გრანტებით, შემოსავლებითა და მშობლობის შემწეობით. შვედეთში დანერგილია მაქსიმალური გადახდის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, მშობლებმა საკუთარი შემოსავლის მხოლოდ 3% უნდა დახარჯონ ბავშვზე ზრუნვაზე, იმის მიხედვით, თუ რამდენი შვილი ჰყავთ მათ.

ქალების ეფექტური მონაწილეობა

ქალების არჩევა საჯარო სამსახურებში მხოლოდ პირველი მნიშვნელოვანი ეტაპია, ხოლო იმის უზრუნველყოფა, რომ მათ ხმას საკმარისი გავლენა ექნება პოლიტიკურ პროცესებზე, ეს უკვე შემდგომი ნაბიჯია.

შვედეთში მშობლებს 480-დღიანი დეკრეტის აღების უფლება აქვთ

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება გვკარნახობს რომ, როცა ქვეყანაში ქალი პოლიტიკოსები[49] ძლიერები არიან, მაღალია ცხოვრების სტანდარტები და პოზიტიური ცვლილებებია, როგორც განათლების და ინფრასტრუქტურის, ასევე ჯანდაცვის სფეროში. იგი ასევე უზრუნველყოფს დემოკრატიული მმართველობის წარმატებულ მხარდაჭერას და მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებას, [50] ასევე სხვადასხვა ჯგუფს, მათ შორის პარტიებსა თუ ეთნიკურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობასა და მშვიდობას.[51]

ქალთა საპარლამენტო ცხოვრება

ქალთა ჯგუფები უნდა არსებობდეს და აძლიერებდეს ქალთა ხმას. ქალების ერთიანობა სამსახურებში იძლევა საპარლამენტო და საკანონმდებლო პოლიტიკის წარმატებული განვითარების საშუალებას.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გენდერული სტაბილურობის პაქტი ინიცირებულია ქალი მერების კავშირის (WML) მიერ.[52] ინიციატივის მიზანია, ქალების შესაძლებლობების გაძლიერება ადგილობრივ მმართველობით სტრუქტურებში და იგი მსოფლიოს 12 ქვეყანაშია უკვე წარმოდგენილი. კავშირის მიზანია, გააძლიეროს ქალი მერების ლიდერობის უნარები; პროექტის ძალისხმევა მიმართულია

48 Save the Children (2014). State of the World's Mothers. Accessed 15/08/2014 at http://www.savethechildren.org/site/apps/nlnet/content2.aspx?c=8rKLIXMGIpI4E&b=8943305&ct=13930525

49 Cammisa, A. and Reingold B. (2004). Women in State Legislature and State Legislative Research: Beyond Sameness and Difference. State Politics and Policy Quarterly 4, pp. 181-210.

50 Cammisa, A. and Reingold B (2004). Women in State Legislature and State Legislative Research: Beyond Sameness and Difference. State Politics and Policy Quarterly 4, pp. 181-210.

51 Chinkin, C. (2003). Peace Agreements as a Means for Promoting Gender Equality and Ensuring the Participation of Women. United Nations, Division for the Advancement of Women.

52 More info on http://www.apcwomen.org/gemkit/en/practitioners/reports_495d.htm

ქალ მერებსა და ადგილობრივ ქალების შორის კავშირების გაძლიერების, პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაცვლისათვის გამიზნული პროექტების შესაქმნელად.

ასევე, რუანდაში შეიქმნა მულტიპარტიული და მულტიეთნიკური ქალთა საპარლამენტო ფორუმი (FFRP). ფორუმს ოფიციალურად აღიარებს პარლამენტი და იგი აერთიანებს ყველ ქალ პარლამენტარს პარლამენტის ორივე პალატიდან. მისი ყველა წევრი, პარტიულობის მიუხედავად, ერთად მუშაობს, ქალებისათვის მნიშვნელოვან საკითხებსა და პარლამენტში თუ კანონმდებლობაში გენდერულ საკითხებზე მგრძნობელობის გასაზრდელად.

ქალთა წარმომადგენლობამ არგენტინაში შეიმუშავა საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მიზანია, სექსისტური გამოხატვის აღმოფხვრა საჯარო ადმინისტრაციებში. ასევე, ურუგვაიში შეიქმნა გენდერული კომიტეტი, რომელიც ეხმარება ქალებს გენდერულად სენსიტიური კანონმდებლობის დანერგვაში. ბრაზილიაში კი, ქალი პარლამენტარები და ქალთა ადვოკატირების ჯგუფები მუშაობენ ერთად ადამიანის უფლებების დაცვის, ქალთა მიმართ ძალადობის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით.

თუ კანონმდებლობა და პოლიტიკური ინსტიტუტები ძლიერია, ხოლო პოლიტიკური ინსტიტუტების კულტურა და ქალების საჭიროებები თანხვდებიან, ქალთა ხმა უფრო ძლიერად ისმის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასევე მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ინსტიტუტების დახვეწა და ინკლუზიური პროცესის დანერგვა პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

შვედეთმა მიიღო სპეციალური გენდერული პოლიტიკის გეგმა. გეგმა ხაზს უსვამს, რომ „სტრატეგიის მიხედვით, ყველა მინისტრი პასუხიმგებელია გენდერული თანასწორობის დაცვაზე თავის იურისდიქციაში," ხოლო გენდერული თანასწორობის მინისტრი პასუხისმგებელია, ხელი შეუწყოს პროგრესს და გაატაროს საჭირო ზომები ამ მიზნის მისაღწევად.

4. დასკვნა

ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის კუთხით პროგრესმა ცხადყო, რომ იგი საკმაოდ რთულად მისაღწევია პოლიტიკასა და მთავრობაში ქალთა ინკლუზიის პროცესში.

ამიტომაც, მნიშვნელოვანია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შენარჩუნება და იმ საშუალებების გაძლიერება, რომელზეც ხელი მიუწვდებათ ქალებს. იგი გულისხმობს არა მარტო ქალების რაოდენობის გაზრდას არჩევითი მმართველობის ყველა დონეზე, არამედ მათი გავლენების გაზრდისთვის გარანტიების შექმნასაც.

სასარგებლო ინფორმაცია

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში (თბილისი)	
პარტნიორები დემოკრატიული ცვლილებებისთვის - საქართველო ფალიაშვილის 11ბ თბილისი 0179 ტელეფონი:(995 32) 91 54 52 ელ-ფოსტა: office@partners.ge საიტი: http://www.partnersglobal.org/network/georgia/georgia	**ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის** ზანდუკელის 5 თბილისი 0108 ტელეფონი: (+995 32) 298 24 56 ელ-ფოსტა:contact@nimd.ge საიტი: www.nimd.ge
ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი თაბუკაშვილის 3 თბილისი 0105 ტელეფონი: (995 32) 293 58 30; (995 32) 293 44 71 ელ-ფოსტა: ndigeorgia@ndi.org საიტი: www.ndi.org/georgia	**საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი** ლეონიძის 1,(თავისუფლების მოედანი) ბინა 16 თბილისი 0105 ტელეფონი:+995 232 98 64 99 საიტი: http://www.iri.org/countries-and-programs/eurasia/georgia
საერთაშორისო ფონდი საარჩევნო სისტემებისთვის ნიკო ნიკოლაძის 7 თბილისი 0108 ტელეფონი: (995 32) 299 93 09 ელ-ფოსტა: info@ifes.ge საიტი: www.ifes.org/countries/Georgia.aspx	**ქალთა დემოკრატიის საქართველოს კავშირი (საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ინიციატივა)** საიტი: www.wdn.org

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, პლატფორმები და კავშირები საქართველოში	
სამხრეთ კავკასიის გენდერული ინფორმაციის კავშირი წინამძღვრიშვილის 27 თბილისი 0102 ტელეფონი: (995 32) 2 95 29 34 ელ-ფოსტა: office@ginsc.net საიტი: www.ginsc.net/	**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება** პეკინის გამზირი.1კვ.კორპ.6,ბ.2 თბილისი 0160 ტელეფონი: +995 32 2381243 ელ-ფოსტა tbilisi@isfed.ge საიტი: www.isfed.ge
ასოციაცია „დორი“ ევდოშვილის 6 თბილისი 0154 ტელეფონი: (+995 99) 17 38 85 ელ-ფოსტა office@dori.ge საიტიwww.dori.ge	**დასაქმებულ ქალთა საინიციატივო ჯგუფი** ფანასკერტელის 11 თბილისი 0194 ტელეფონი: (995 32) 36 23 10 ელ-ფოსტა: mariber21@yahoo.com
კავკასიის ქალთა კვლევის და კონსულტაციის კავშირი მაჩაბლის 5, 1 სართული თბილის 0105 ტელეფონი: (995 32) 99 99 87 ელ-ფოსტა: cwn@access.sanet.ge საიტი: www.iccn.ge	**ქალთა საერთაშორისო კრეატიული კავშირი** ჭავჭავაძის 68 თბილისი: 0162 ტელეფონი: (995 32) 93 16 29 ელ-ფოსტა: wcnu@hotmail.com
ქალთა განვითარების ცენტრი კოსტავას 20 თბილისი 0179 ტელეფონი: (995 32) 38 25 97 ელ-ფოსტა: cwd@caucasus.net	**დინამიური ფსიქოლოგია დემოკრატიისა და განვითარებისთვის** ბარათაშვილი 6/10 თბილისი 0105 ტელეფონი: (995 32) 38 41 82 ელ-ფოსტა: sdpdd@sdpdd.ge საიტი: www.grc.iatp.org.ge
ქალთა პოლიტიკური რესუსების ცენტრი თაყაიშვილის 3 თბილისი 0179 ტელეფონი:(995 32) 224 018; (995 32) 300 137 ელ-ფოსტა:wprc@wprc.org.ge საიტი: www.wprc.org.ge	**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** კახიძის 15 თბილისი 0102 ტელეფონი: (995 32) 2 93 61 01 ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge საიტი: www.gyla.ge
განვითარების და დემოკრატიის ცენტრი ბუდაპეშტის 3 თბილისი 0160 ტელეფონი: (995 790) 33 31 11 ელ-ფოსტა: info@CDD.ge საიტი: www.cdd.ge	**ქალთა კავკასიის კავშირი** ასათიანის 10 თბილისი ტელეფონი: (995 32) 298 86 95 ელ-ფოსტა: cwn@cwn.ge საიტი: http://www.ginsc.net/

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, კავშირები და პლატფორმები საქართველოს რეგიონებში	
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება წერეთლის 27 ქუთაისი ტელეფონი: +995 431 240992 ელ-ფოსტა: kutaisi@isfed.ge	**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება** მემედ აბაშიძის 62, ბინა 26 ბათუმი ტელეფონი: +995 593574857 ელ-ფოსტა: batumi@isfed.ge
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ნონეშვილის 3 გურჯაანი ტელეფონი: +995 353 221177 ელ-ფოსტა: kaxetiisfed@gmail.com	**ქალთა ცენტრი** თამარ მეფის პირველი ამბროლაური0400 ტელეფონი: (995 236) 2 16 32 ელ-ფოსტა: nsokhadze@nala.ge
სოციუმი წერეთლის პირველი ჩოხატაური 4900 ტელეფონი: (995 99) 26 27 27 ელ-ფოსტა:maya_gogoladze@hotmail.com	**ქალთა იმედი** კოსტავას ქუჩა 77/27 ახალციხე 0800 ტელეფონი: (995 265) 2 14 88 ელ-ფოსტა: info@ginsc.net
ქალები და პროგრესი სოფელი დვაბზუ ოზურგეთი 3500 ტელეფონი: (995 55) 42 68 01 ელ-ფოსტა: info@ginsc.net	**ლეგი** მოსე ხონელის 67 ხონი 5611 ტელეფონი: (995 98) 93 12 81 ელ-ფოსტა info@ginsc.net
ქალები და სამყარო 9 აპრილის ქუჩა 21 ბოლნისი 1100 ტელეფონი: (995 258) 2 22 45 ელ-ფოსტა: W_O_A_W@yahoo.com	**ასოციაცია „საწყისი“** სტალინის 26 გორი 1400 ტელეფონი: (995 99) 75 07 06 ელ-ფოსტა: sackisi@posta.ge
საინიციატივო ჯგუფი „ალაზანი“ სოფელი ველისციხე გურჯაანი 1506 ტელეფონი: (995 99) 79 84 17 ელ-ფოსტა: info@ginsc.net	**სამეგრელო მედეა** ფერდინანდის ქუჩა 6 ზუგდიდი 2100 ტელეფონი: (995 215) 5 36 36 ელ-ფოსტა: makage@posta.ge
სამცხე-ჯავახეთის რეგიონის თვითმმართველობის ასოციაცია კოსტავას 18 ახალციხე 0800 ტელეფონი: (995 99) 50 19 29 ელ-ფოსტა: nairaasociacia@posta.ge	**სოციუმი** წერეთლის 1 ჩოხატაური 4900 ტელეფონი: (995 99) 26 27 27 ელ-ფოსტა: maya_gogoladze@hotmail.com
თემიდა პუშკინის 124 ბათუმი 6000 ტელეფონი: (995 8222) 7 63 70 ელ-ფოსტა: sofikolakia@inbox.ru	**საინიციატივო ჯგუფი - ორპირის ქალთა საბჭო** სოფელი ორპირი ტყიბული 4308 ტელეფონი: (995 93) 20 35 18 ელ-ფოსტა: orpiri@mail.ru